

შპს „თელედა“
ს/ნ-400048747

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

29 სექტემბერი 2022 წ.

შინაარსი

- | | | |
|---|-------|-------------|
| 1. ფინანსური მდგომარეობა | _____ | გვ. 3 |
| 2. საქმიანობის შედეგი | _____ | გვ. 4 |
| 3. ფულადი სახსრების მოძრაობა | _____ | გვ. 5 |
| 4. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნა-კომენტარები | _____ | გვ. 6–7–8–9 |

ჩვენს მიერ 6-7-8-9 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნა კომენტარები წარმოადგენს ინდივდ. ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	115212	403929	384065
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	827415	583663	819565
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	2195	7460
მარაგები	708747	616269	632431
მზა პროდუქცია	213508	155228	210769
სხვა	495239	461041	421662
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	3990	4695	5491
ძირითადი საშუალებები	2027216	1668674	956179
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	3682580	3279425	2805191

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	3933	58901	9378
ანარიცხები	5897	2435	1093
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	20244	9072	184
საგადასახადო ვალდებულებები	7368	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	170427	162024	327551
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	207869	232432	338206

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	253931	253931	253931
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3220780	2793062	2213054
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3474711	3046993	2466985
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3682580	3279425	2805191
სულ მოკლევადიანი აქტივები	823959	1020198	1016496
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	1958329	1896008
საქონლის გაყიდვიდან	1842539	1774465
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	115790	121543
გაყიდვების თვითღირებულება	-533276	-501979
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1425053	1394029
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-433254	-453194
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-138936	-107030
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-152892	-188626
იჯარის ხარჯი	-7410	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-251360	-65171
სულ საოპერაციო ხარჯები	-983852	-814021
საოპერაციო მოგება	441201	580008
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო		
სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	441201	580008
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	441201	580008
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	441201	580008
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3046993	2466985
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-13483	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3474711	3046993

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	3963599	4849491
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-4252316	-4829627
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-288717	19864
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	403929	384065
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	115212	403929

1. ინფორმაცია საწარმოს შესახებ

შპს „თელედა“ არის 2012 წლის 17 მაისს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მინიჭებული აქვს ს/ნ--400048747, საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. კისისხევი.

საწარმოს ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ღვინის წარმოება ყურძნისგან.

2021 წ. და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოს წილი განისაზღვრება შემდეგნაირად:

შპს „თელედა“---მერი დაქიშვილი (პ/ნ-20001042041)—60 % წილის მფლობელი.

შპს „თელედა“---მამაუკა წერეთელი (პასპორტი N 464395660)---36 % წილის მფლობელი.

შპს „თელედა“---ზაქარია კიკნაძე (პასპორტი N 423354514)----4 % წილის მფლობელი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს სტანდარტი 2015) შესაბამისად.

2. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები,-- საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის, ფუნქციონალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობები აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ფულადი სახსრები შედგება ძირითადად, რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მცირდება, შესყიდვებთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვით, ასევე საბიუჯეტო და კომპანიის

თანამშრომელთა მიმართ, ვალდებულებების დაფარვით და ისეთი გასავლებით, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან არის დაკავშირებული. ძირითადად, თანხების გაცემა და მიღება ხდება საბანკო ანგარიშების საშუალებით.

3. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია მზა პროდუქციის, ნედლეულის და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისთვის, შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

კომპანიას მარაგების, მ.შორის, მზა პროდუქციის თვითღირებულებაში შეაქვს მის შემენა-გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, ასევე, ისეთი დანახარჯები, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანია მარაგის, მ.შორის მზა პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

1. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის აღიარებას კომპანია ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, მისგან ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია აქტივის ღირებულებისა და თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

არამატერიალური აქტივის ცვეთის ღირებულებას, კომპანია განსაზღვრავს: საგადასახადო კოდექსის, მუხლი 113, ნაწილი 2-ის შესაბამისად. კერძოდ, ცვეთის ნორმად განსაზღვრულია 15 %.

2. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებად აღრიცხავს მატერიალურ აქტივებს, რომელთა გამოყენების ვადა აღემატება ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტს, შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება, გამოიყენება საქონლის წარმოებაში, ადმინისტრაციული მიზნებისთვის და მისგან მოხდება ეკონომიკური სარგებლის მიღება.

კომპანია თავდაპირველად, ძირითად საშუალებებს შემოსავალში იღებს, ნასყიდობის ფასით, ასევე აქტივის ღირებულებას ემატება ყველა ისეთი დანახარჯი, რომელიც

დაკავშირებულია მის ადგილამდე მიტანასთან, მონტაჟთან, სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან და გამოსაყენებლად კომპანიის დასახული მოწინისთვის.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშება ხდება, საგადასახადო კოდექსის მუხლი 111. საამორტიზაციო ანარიცხები და გამოქვითები ძირითად საშუალებათა მიხედვით. ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი საშუალებები ჯგუფდება და ერიცხება შესაბამისი ნორმები.

შენობა-ნაგებობებს ცვეთა ერიცხება 5%.

მანქანა -დანადგარებს, წარმოებაში გამოყენებად მოწყობილობებს, ავეჯს და კომპიუტერებს 20 %.

1. ვალდებულებები

კომპანიის ვალდებულებები შედგება: საქონლის შესყიდვიდან მიღებული ვალდებულებებისგან, სასესო (საბანკო კრედიტი) ვალდებულებებისგან, საგადასახადო ვალდებულებებისგან და თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებებისგან.

კომპანია სრული პასუხისმგებლობით ეკიდება მის წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებს და დროულად ახდენს მის დაფარვას.

2. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება, მესაკუთრეების მიერ განხორციელებული ინვესტიციისგან.

3. გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგება შედგება: რეალიზაციიდან მიღებული ან მისაღები შემოსავლებიდან, რომელიც შემცირებულია კომპანიის მიერ, ეკონომიკური მიზნებისთვის, გამოყენებული და გაცემული ყველანაირი დანახარჯებით.

კომპანია საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს. გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს. შესაძლებელია გაყიდვებთან დაკავშირებული ყველანაირი

დანახარჯების შეფასება და ამონაგები თანხის საიმედოდ შეფასება, რომელიც მოიცავს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. კომპანია არ გეგმას ლიკვიდაციას ან საქმიანობის რაიმე სახით შეკვეცას.

კომპანიის მიმდინარე აქტივები აღემატება მის მიმდინარე ვალდებულებებს, რაც უზრუნველყოფს მის ლიკვიდურობას, შემდეგ წლებშიც.